სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების

კ ა ტ ა ლ ო გ ი

2020 წ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) არის პირველი ეროვნული უნივერსიტეტი კავკასიაში, რომელმაც, ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით, საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას.

2007 წლიდან თსუ-ს რამდენიმე ფაკულტეტმა აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, დაიწყო უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა. 2011-2018 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე ავტორიზებულ და აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდებოდა 12 საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო 2015 წლიდან თსუ ახორციელებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ ახალ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

2019 წლის ივნისში შეიქმნა უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - „თსუ პროფესიული განათლების ცენტრი“, რომელსაც დაევალა თსუ-ში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. ცენტრი საკუთარ საქმიანობას წარმართავს თბილისსა (მისამართი: უნივერსიტეტის ქ. N2, N11, ილია ჭავჭავაძის გამზ. N11ᵃ) და ქუთაისში (მისამართი: ნიკეას მე–2 შესახვევი N 8).

თსუ-ში ამჟამად ორ ლოკაციაზე ხორციელდება 11 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - მე-5 საფეხური (თბილისი, ქუთაისი);
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი - მე-5 საფეხური (თბილისი);
- ტუროპერატორი - მე-5 საფეხური (თბილისი);
- შემფასებელი - მე-5 საფეხური (თბილისი, ქუთაისი);
- საბიბლიოთეკო საქმე - მე-4 დონე (თბილისი);
- საოფისე საქმე - მე-4 დონე (ქუთაისი);
- სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა - მე-4 დონე (ქუთაისი);
- საბაჟო საქმე - მე-5 დონე (თბილისი, ქუთაისი).

2020 წელს (ზაფხულში) დამატებული ახალი 10 პროფესიული პროგრამა:

- ბუღალტრული აღრიცხვა - მე-5 დონე (თბილისი, ქუთაისი);
- საფინანსო სერვისები - მე-3 დონე (თბილისი, ქუთაისი);
- ღონისძიების ორგანიზება - მე-4 დონე (თბილისი, ქუთაისი);
- საოფისე საქმე - მე-4 დონე (თბილისი);
- სკოლამდელი აღზრდა - მე-5 დონე (თბილისი, ქუთაისი);
- საბიბლიოთეკო საქმე - მე-4 დონე (ქუთაისი).

ბაგა - ბაღის აღმზრდელი პედაგოგი - მე-5 საფეხური

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ბაღის კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 111** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 18** თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 141** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 23** თვე

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
- სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- სააღმზრდელო პროცესის მართვა პოზიტიური გაძღოლის პრინციპების გამოყენებით;
- წარმატებული, უსაფრთხო მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

პროგრამის ხელმძღვანელი: ზაქარია ქიტიაშვილი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, ჭავჭავძის გამზ. N11ა, III კორპუსი.

ქ. ქუთაისი, ნიკეას II შეს. N8

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი - მე-5 საფეხური

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კვალიფიციური გიდი, მისცეს საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ–ჩვევები, რათა შეძლოს კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმება.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 115** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 19** თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 145** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 24** თვე

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

სწავლის შედეგები:
კურსდამთავრებულს შეუძლია:

- უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ ტურისტებისათვის შემუშავებული ტურისტული მარშრუტისა და შესაბამისი პროგრამის განხორციელება;
- საექსკურსიო მომსახურება მთელი საქართველოს ან/და კონკრეტული რეგიონის მასშტაბით;
- ტურისტული ჯგუფის მართვა;
- ტურის საორგანიზაციო სამუშაოების განხორციელება;
- პრობლემური სიტუაციების მართვა;
- ექსკურსიის მომზადება და ჩატარება.

პროგრამის ხელმძღვანელი: ეკა ლეკაშვილი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2, X კორპუსი.

ტუროპერატორი - მე-5 საფეხური

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.
პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური ტუროპერატორი, მისცეს საჭირო თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ–ჩვევები, რათა შეძლოს კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმება.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 114** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 19** თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 144** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 24** თვე

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

სწავლის შედეგები:
კურსდამთავრებულს შეუძლია:

- სერვის მომწოდებლების შერჩევა;
- მომწოდებლებთან ურთიერთობის დამყარება, ფასის შეთანხმება, კონტრაქტის გაფორმება;
- ტურპაკეტების შექმნა/გაყიდვა;
- ტურის მომზადება, დაგეგმვა და ორგანიზება;
- გიდის, ტრანსპორტის, კვების ობიექტების და განთავსების საშუალებების შერჩევა;
- ტურის მიმდინარეობის კონტროლი.

პროგრამის ხელმძღვანელი: მერაბ ხოხობაია

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2, X კორპუსი.

შემფასებელი - მე-5 საფეხური

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: შემფასებელის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია უზრუნველყოს კვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს შეაფასოს უძრავი და მოძრავი ქონება, არამატერიალური აქტივები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ბიზნესი ღირებულების დადგენის მიზნით. ასევე, შეძლებს შესაფასებელი ქონებისათვის მიყენებული ზარალის ოდენობის განსაზღვრას, შესაბამისი დასკვნის მომზადებას და მის დაცვას. პროგრამის მიზანია მოამზადოს კომპეტენტური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტები აღჭურვილები იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა:** 121 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 20 თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა:**151 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 25 თვე

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება



სწავლის შედეგები:

მეხუთე საფეხურის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შესაფასებელი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის დადგენა;
- განსაზღვრა და შესაფასებელ ქონებაზე ინფორმაციის შეგროვება, შესაფასებელი ქონების გარე ექპერტიზა;
- შესაფასებელ ქონებაზე ინფორმაციის შეგროვება (საბაზრო მეთოდი) და შესაფასებელი ქონების ინფორმაციის ანალიზი (საბაზრო);
- შეფასების საბაზრო მეთოდის, შეფასების და ნახარჯების მეთოდისა და შეფასების მათემატიკის გამოყენება;
- შეფასების შემოსავლების მეთოდის გამოყენება;
- შესაფასებელი ქონების საბოლოო ღირებულების დადგენა და საშემფასებლო დასკვნის მომზადება.

პროგრამის ხელმძღვანელი: ლევან საბაური.

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2, X კორპუსი.

ქ. ქუთაისი, ნიკეას II შეს. N8.

საბიბლიოთეკო საქმე - მე-4 დონე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა, როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 86** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 14** თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 116** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 19** თვე

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება



დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

საბიბლიოთეკო საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ბიბლიოთეკებში, ქალაქის, სოფლის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ბიბლიოთეკაში.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 71.1; 71.11; 71.11.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 2621; 2622

პროგრამის ხელმძღვანელი: ზურაბ გაიპარაშვილი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N11

საოფისე საქმე - მე-4 დონე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვას, მართვასა და დაწესებულების დოკუმენტბრუნვას.

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 59** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 43** კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 89** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 63** კვირა

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საოფისე საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელის თანაშემწედ, მდივნად. დოკუმენტაციის წარმოებასა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფების ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად და დამხმარე მუშაკებად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 82, 82.1, 82.11.0, 82.19.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3341

პროგრამის ხელმძღვანელი: თეა ჭეიშვილი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, ნიკეას II შეს. N8

სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა - მე-4 დონე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში.

პროგრამის მიზანი: სატვირთო გადაზიდვების სფეროსათვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრი, რომელმაც იცის: სატრანსპორტო, სასაწყობო დოკუმენტაციის შევსება; ტვირთის შენახვა საწყობში; ნაშთების კონტროლი; სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვა; ტრანსპორტის სახეების აღწერა და შესაბამისი ტრანსპორტის სახის შერჩევა; გუნდური მუშაობა; მონიტორინგი და შეფასება; შეკვეთის გაფორმება; ტვირთის ჩატვირთვა/გადმოტვირთვის ზედამხედველობა; გადაზიდვების მონიტორინგი.
პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ამასთან, სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 69** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 68** კვირა

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 99** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 88** კვირა

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: ლოგისტიკაში საშუალო საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელი, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის მიმართულებით შეიძლება დასაქმდეს: ტვირთების გადამზიდავ ექსპედიტორულ და სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ფირმებში, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოებში, სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ასოციაციებში, სატრანსპორტო და საექსპედიციო ფირმებში, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკურ კომპლექსებში, სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ფირმებში, მზა პროდუქციის მსხვილ სადისტრიბუტორო ფირმებში, გამანაწილებელ და ლოგისტიკურ ცენტრებში, საბაჟო ტერმინალურ კომპლექსებში, სასაწყობო მეურნეობებში, საბაჟო საწყობებში.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 49.4; 49.41; 49.41.0; 49.42; 49.42; 49.42.0; 51.2; 51.21; 51.21.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3323.

პროგრამის ხელმძღვანელი: დავით კბილაშვილი

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, ნიკეას II შეს. N8

საბაჟო საქმე - მე-5 დონე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია საბაჟო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს განახორციელოს საბაჟო საზღვრის კვეთასთან, საქონლის საბაჟო გაფორმებასთან, საბაჟო ზედამხედველობასთან, საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან, ასევე საბაჟო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული საქმიანობა. პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას შეასრულებენ პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სპეციალისტები აღჭურვილი იქნებიან პროფესიული და ზოგადი/ტრანსფერული უნარებით.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 93** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 15** თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 123** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 20** თვე

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება



დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: საბაჟო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები). საჯარო სექტორში ის შეიძლება დასაქმდეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში - საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად, საბაჟო გაფორმების სპეციალისტად. ეს ფუნქციები შესაძლოა შერწყმულ იქნეს ლოგისტიკის სპეციალისტის, საბაჟო ტერმინალის მომსახურების განყოფილების სპეციალისტების ფუნქციებთან. კარიერული ზრდის თვალსაზრისით, კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია შემდგომ საფეხურებზე ბიზნესისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

პროგრამის ხელმძღვანელი: ნატო კაკაშვილი.

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2, X კორპუსი.

ქ. ქუთაისი, ნიკეას II შეს. N8.

2020 წელს დამატებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

ბუღალტრული აღრიცხვა - მე-5 დონე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში.

პროგრამის მიზანი: მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიციური ბუღალტერი, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 99** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 17** სასწავლო თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 129** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 22** სასწავლო თვე

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები: ბუღალტრულ აღრიცხვაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

პროგრამის ხელმძღვანელი: ნინო ჩავლეშვილი (თბილისი), ზეინაბ ახალაძე (ქუთაისი)

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2, X კორპუსი.

ქ. ქუთაისი, ნიკეას II შეს. N8.

საფინანსო სერვისები - მე- 3 დონე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური საფინანსო სერვისების პერსონალი, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობას.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 51** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 9** სასწავლო თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 66** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 12** სასწავლო თვე

დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება და არანაკლებ 17 წელი

დასაქმების შესაძლებლობები - საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლებელია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებილებებში მოლარისა და ოპერატორის პოზიციაზე, ასევე ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

პროგრამის ხელმძღვანელი: ხათუნა ბარბაქაძე (თბილისი)

ხათუნა ტყეშელაშვილი (ქუთაისი)

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2, X კორპუსი.

ქ. ქუთაისი, ნიკეას II შეს. N8.

ღონისძიების ორგანიზება - მე-4 დონე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური ღონისძიების ორგანიზატორი, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გეგმავს, კოორდინირებასა და ორგანიზებას უწევს ყველა სახის ღონისძიების მომზადებასა და გამართვას.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 61** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 10** სასწავლო თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 91** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 15** სასწავლო თვე

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები: ღონისძიების ორგანიზებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს: ქორწილების ორგანიზატორად, ასევე კონფერენციების და ღონისძიებების ორგანიზატორად სახელმწიფო და საჯარო სტრუქტურებში, სადღესასწაულო ცენტრებში, ტურისტულ და სხვა კერძო კომპანიებში, კულტურულ და სპორტულ ასოციაციებსა და ფედერაციებში, ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

პროგრამის ხელმძღვანელი: ნანა მამაგულიშვილი (თბილისი)

ნანა შენგელია (ქუთაისი)

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2, X კორპუსი.

ქ. ქუთაისი, ნიკეას II შეს. N8.

საოფისე საქმე - მე-4 დონე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური ადმინისტრაციული დამხმარე პერსონალი, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვას, მართვასა და დაწესებულების დოკუმენტბრუნვას.

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 59** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 10** სასწავლო თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 89** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 15** სასწავლო თვე

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საოფისე საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელის თანაშემწედ, მდივნად. დოკუმენტაციის წარმოებასა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფების ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად და დამხმარე მუშაკებად.

პროგრამის ხელმძღვანელი: ნუნუ ოვსიანიკოვა

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2

სკოლამდელი აღზრდა - მე-5 დონე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ ასაკში ბავშვზე ზრუნვას, მის აღზრდასდა განვითარებას. ამ მიზნებისთვის მან უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელ სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროს წარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.
ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 116** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 20** სასწავლო თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 146** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 25** სასწავლო თვე

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები - პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

პროგრამის ხელმძღვანელი: ზაქარია ქიტიაშვილი (თბილისი)

ნინო მამრიკიშვილი (ქუთაისი)

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N11ა.

ქ. ქუთაისი, ნიკეას II შეს. N8.

საბიბლიოთეკო საქმე - მე-4 დონე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საბიბლიოთეკო საქმეში

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია მისცეს პირს შესაძლებლობა, მიიღოს ფართო განათლება და ძირითადი ცოდნა საბიბლიოთეკო სფეროში; აგრეთვე, განუვითაროს ის აუცილებელი უნარები და კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა, როგორც შრომის ბაზარზე გასასვლელად, ასევე სწავლის გასაგრძელებლად, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემებში.



პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.

ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 86** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 14** თვე

არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის:

- **მოცულობა: 116** კრედიტი
- **ხანგრძლივობა: 19** თვე

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საბიბლიოთეკო საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის ბიბლიოთეკებში, ქალაქის, სოფლის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ბიბლიოთეკაში.

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი ჭიჭინაძე

პროგრამის განხორციელების ადგილი: ქ. ქუთაისი, ნიკეას მე–2 შესახვევი N 8

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

032 225 04 84

cve@tsu.ge

www.tsu.ge

- www.fb.com/TSUVET